საბერძნეთის ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ეკლესია

ოქმი № 3403 ათენი, 21.03/03.04.2025

სააღდგომო ეპისტოლე
2025

„ჯვარი შენი უფალო,
ცხოვრება არს და აღდგომა ერისა შენისა...“.

(აქებდითსა ზედა დასდებელი, კვირიაკესა ცისკრად, ხმა 6)

საყვარელო მამებო და ძმებო, აღდგომილი უფლის მიერ სულიერო შვილებო,

კვლავ მივაღწიეთ მართლმადიდებლურ აღდგომას - სიცოცხლის, სინათლისა და მარადისობის ენით აღუწერელ სიხარულს. **ჩ**ვენი უფლის იესო ქრისტეს აღდგომაში დარწმუნებამ უზომოდ გაახარა მისი მოწაფეები და მოციქულები. **ე**ს მადლი და სიხარული შემონახულია ჩვენს წმინდა ეკლესიაში და მას ჩვენ წმინდა საიდუმლოებებითა და სათნოებებით ვეზიარებით.

ის საეკლესიო წლის ყოველ კვირა დღეს, ცისკარზე, საკვირაო სახარებაში გვესმის იგივე სასიხარულო უწყება აღდგომის შესახებ, რაც ნეტარმა მენელსაცხებლე დედებმა წმინდა ანგელოზისგან მიიღეს. **დ**ა, მათ მსგავსად, ჩვენც „შიშითა და სიხარულითა დიდითა“(მათ. 28:8) აღდგომის შესახებ უწყების საკუთარ თავსა და გარემოცვაში საქმით განხორციელების ხილვად ვიჩქარით.

აღდგომა ქრისტესი დასტურია იმისა, რომ სიკვდილით ჩვენც გადავდივართ მარადიულ ცხოვრებაში. **ა**მიტომაც წმიდა იოანე ოქროპირი თავის სააღდგომო ქადაგებაში გადაჭრით უსვამს ხაზს: „ნუვინ ჰსძრწინ და ეშინინ სიკვდილისაგან, რამეთუ განმათავისუფლნა ჩვენ სიკვდილმან მაცხოვრისამან!“

* * *

საყვარელო ძმებო,

არ დაგვავიწყდეს - მსხვერპლად შეწირვის ნიშანი რჩება ჩვენს მკვდრეთით აღმდგარ უფალზე, იგი წარუშლელად ატარებს ღვთაებრივი ვნების სიმბოლოებს, რადგან ჯვარი და აღდგომა განუყოფელია. **ა**ღდგომის განდიდებით ჩვენ განმაცხოველებელ ჯვარსაც განვადიდებთ, რადგან მისი მეშვეობით აღსრულდა სიკვდილიდან სიცოცხლეზე გადასვლა.

ღმერთკაცმა უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ ჯვარტვირთულმა განვლო ეს ხრწნადი სოფელი, რათა ჩვენთვის ეჩვენებინა ამა სოფლის ტყვეობიდან დაღწევის გზა. მან თავისი ზეციური მამის საოცარი მორჩილებით იცხოვრა, უმალ უარყო მოთხოვნილებების უდროო და არასაჭირო დაკმაყოფილების მაცდური წინადადება, აგრეთვე შეთავაზება ტკივილის, მსხვერპლისა და სიკვდილის თავიდან აცილებისა.

თუ ჩვენც უარვყოფთ ცოდვიან საცდურებს და მხნედ დავითმენთ მწუხარებებით გამოწვეულ ტკივილს, შესაძლოა სიწმინდის ღვთაებრივი ნიჭი ჩვენც გვებოძოს და ჩვენზეც გარდამოდინდეს - მორწმუნე მართლმადიდებელ ქრისტიანებზე.

ამისკენ მოგვიწოდებს წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი, როცა წერს: „ნებსით ჯვარს-ეცვი, მოკვდი და ქრისტეს თანა დაეფალ, რათა მის თანავე აღდგე და განდიდნე და ჰსუფევდე“ (სიტყვა 38, ნათლისღების შესახებ...).

ეკლესიის მიერ დიდი მარხვის დაწესება, რომელიც წინ უძღვის ქრისტეს წმინდა აღდგომას, სწორედ ამისკენ არის მიმართული: როგორ მოვიშოროთ ტვირთი ხორციელი და სულიერი გადაცდენებისა, რომლებიც ჯვარსა და აღდგომას განგვაშორებენ. ამის გარეშე გამოხსნა არ მიიღწევა და არ მოიპოვება. მხოლოდ ჯვრის გზით მოდის აღდგომის გვირგვინი და მარადიული თავისუფლება.

* * *

საყვარელო მამებო და ძმებო!

ჭეშმარიტი ჩაღდგომა ამქვეყნად, როგორც ესქატოლოგიური აღდგომის საწინდარი ცათა სასუფეველში, არ შეიძლება იდღესასწაულებოდეს შემდეგი აუცილებელი პირობების: ყოველგვარი ბოროტებისა და მანკიერების უარყოფის, ყოველგვარი სიბილწის განდევნის, გულის განწმენდისა და მისი ღვთაებრივი სათნოებებით შემკობის გარეშე, რათა გავხდეთ ღირსნი ნათელმკრთოლვარე აღდგომის ხილვისა. მხოლოდ ნათლითმოსილთ და ქრისტეშემოსილთ შეუძლიათ ღვთაებრივი დიდების საქორწინო პალატში, სიტკბოების სანატრელ სამოთხეში შესვლა. ჩვენი სააღდგომო სანთლები, რომლებსაც სამეუფო კარებთან ვანთებთ, გვახსენებს ამას, ღებულობს რა შუქს უმიმწუხრო ნათლისგან.

ამ ნათელ და წმინდა დღეს ჩვენ მტკიცედ ვაცხადებთ, რომ მარადიული მართლმადიდებლური პასქალია ჩვენი ეკლესიის მიერ უცვალებელად და სიახლეების გარეშე შენარჩუნდება. მისი ვითომდა ასტრონომიული „შესწორების“ ნებისმიერი მცდელობა, რისკენაც დაცემული ეკუმენისტები ისწრაფოდნენ და ისწრაფიან, რათა განსხვავებულად მორწმუნეებთან ერთად იდღესასწაულონ,

დაგმობილია ჩვენი მართლმადიდებელი სარწმუნოებითა და გარდამოცემით.

დაე ჩვენ, როგორც ჩვენი წმიდა მართლმადიდებლობის ჭეშმარიტი შვილები, ღირს-ვიქმნეთ მარადიული აღდგომის უხრწნელებისა ღვთაებრივი სამმზეობის სასუფეველში. **ა**მინ!

ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა!

† მთავარეპისკოპოსი კალინიკე
ათენისა და სრულიად ელადისა
და
საბერძნეთის ჭეშმარიტ მართლმადიდებელ ქრისტიანთა ეკლესიის
წმინდა სინოდი